186
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1983 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1139 ₮

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1983 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცკ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

33. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების და „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ
35. სამხერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ
36. ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ
37. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ
38. „საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 2 მარტის № 108 შესაბამისი დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის წარმომადგენელ სტუდენტთათვის ნ. ა. ლაკობას სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ
40. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისათვის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების დაკისრების შესახებ
41. მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ნორმირების შესახებ
42. საბჭოთა კავშირის გმირის, პროფესორ დ. ვ. ჯაბიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
43. საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ
44. იმ ძვირფასი, იშვიათ მერქნიანი და ბუჩქნარი მცენარეების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებიც არ უნდა მოიჭრას მთავარი სარგებლობის ჭრის დროს
45. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

33 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების და „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილების შესასრულებლად და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების მე-10 პუნქტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილების 1-ლი პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად ნება დაერთოთ ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ბორჯომის, წყალტუბოს, გაგრის, გუდაუთისა და ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გამოუყონ პირებს, რომლებიც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევიან და ოჯახებით მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ ქალაქებში, მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის (მათ შორის კოლექტიური მრავალბინიანი მშენებლობისათვის) მოქმედი კანონმდებლობის, ქალაქთმშენებლობის ნორმებისა და ამ ქალაქების დამტკიცებული გენერალური გეგმების შესაბამისად.

ამ პუნქტში აღნიშნული სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუთანხმონ საქართველოს სსრ სახმშენს მასობრივი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხები ქალაქების დაგეგმარების დამტკიცებული პროექტების მიხედვით.

2. ტერიტორიის შეზღუდულობისა და რელიეფის სირთულის გამო:

— ნებადართულ იქნეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და რეკონსტრუქცია ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანსა და დაბა წაღვერში, გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორსა და კიკეთში წინათ გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე;

— არ გავრცელდეს ეს დადგენილება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ნებართვის შესახებ აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის დაბა ახალ ათონზე.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომელთაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
გ. კოლბინი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. ჭართველიშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წ. 21 ივნისი, № 442

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 10 მაისი, № 294

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 10 მაისის № 294 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისევე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება ახორციელებს ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას, ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მეთოდიკურ ხელმძღვანელობას, მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტების და ამ მუშაობის კოორდინაციისათვის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მეთოდიკურ ხელმძღვანელობას, ნოტარიატის ხელმძღვანელობას, აგრეთვე ავტონომიურ ოლქში იურიდიული კონსულტაციების საერთო ხელმძღვანელობას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას ეკისრება პასუხისმგებლობა ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციისათვის, განყოფილების საქვეუწყებო იუსტიციის დაწესებულებათა საქმიანობისათვის მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების მთავარი ამოცანებია:

— სოციალისტური კანონიერების ყოველმხრივ განმტკიცება, სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა; დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად და დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად საქმიანობის სრულყოფა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად;

— ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, ამ მუშაობის დონის ამაღლება, მართლმსაჯულების მიზნებისა და სასამართლოს ამოცანების განხორციელებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა იმ პრინციპის განუხრელი დაცვით, რომ სასამართლოები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან;

— ადვოკატურის, ნოტარიატის და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფა

— სამართლებრივი მუშაობის სრულყოფა ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობაში საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განუხრელი დაცვის მიზნით;

— სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაცია და კანონმდებლობის განმარტება მოსახლეობაში.

— განყოფილების საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, ამ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და სახალხო სასამართლოთა კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა უნარიანი მუშაკების შეხამება, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა მუშაკთა დაწინაურება, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ კანონით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, და უზრუნველყოფს კანონმდებლობის სწორ გამოყენებას განყოფილების საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს წინადადებებს ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების ორგანიზაციის (დისლოკაცია, სტრუქტურა, შტატები), სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების საკითხებზე; უხელმძღვანელებს ამომრჩეველთა წინაშე ავტონომიური ოლქის სახალხო მოსამართლეთა ანგარიშების ორგანიზაციას;

ბ) შეამოწმებს რაიონებისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციას, მოისმენს სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეთა და სახალხო მოსამართლეთა მოხსენებებს მათი მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე და მიიღებს ზომებს ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად; შეისწავლის და გაავრცელებს დადებითს გამოცდილებას, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნას;

გ) სახალხო სასამართლოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ამასთან კოორდინაციას გაუწევს ამ მუშაობას საოლქო სასამართლოსთან, და გამოიყენებს განზოგადების შედეგებს სახალხო სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; შეიტანს დადგენილი წესით შესაბამის ორგანოებში წინადადებებს დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ;

დ) შეამოწმებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მასალების განსახილველად სახალხო სასამართლოთა მუშაობის ორგანიზაციას და მიიღებს ზომებს ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ე) მოაწყობს მუშაობას სასამართლო სტატისტიკის წარმოებისათვის, კონტროლს გაუწევს მის განხორციელებას სახალხო სასამართლოებში და გამოიყენებს სასამართლო სტატისტიკის მონაცემებს მართლმსაჯულების განსახორციელებლად მათი საქმიანობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

ვ) ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს მუშაობას სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა და ქონებრივი სახდელების ნაწილში სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოების განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა, აგრეთვე სხვა ორგანოების იმ დადგენილებათა შესრულებისათვის, რომელთა აღსრულებას ახდენენ სასამართლო აღმასრულებლები;

ზ) სამართლებრივ დახმარებას გაუწევს ამხანაგურ სასამართლოებს, ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებსა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

თ) მიიღებს ზომებს საკანონმდებლო მასალებით სახალხო სასამართლოების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უზრუნველსაყოფად;

ი) მოაწყობს მუშაობას კანონმდებლობის, აგრეთვე სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის მონაცემების აღრიცხვისათვის, კონტროლს გაუწევს მის მდგომარეობას სახალხო სასამართლოებსა და სახელმწიფო სანოტარო კანტორებში;

კ) განახორციელებს მეთოდიკურ ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობისადმი, გაეცნობა ამ მუშაობის მდგომარეობას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; მოისმენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციებს სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ; შეიმუშავებს და მისცემს მეთოდიკურ მითითებებსა და რეკომენდაციებს სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

შეისწავლის და განაზოგადებს სამართლებრივი მუშაობის დაყენების პრაქტიკას; გაავრცელებს იურიდიული განყოფილებებისა და იურისკონსულტების მუშაობის დადებითს გამოცდილებას, მიიღებს ზომებს ამ განყოფლებების მუშაკთა ,(იურისკონსულტთა) კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ლ) განახორციელებს კადრების შერჩევასა და განაწილებას განყოფილების საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; უხელმძღვანელებს კადრებთან მუშაობას სახალხო სასამართლოებში; გასწევს მუშაობას კადრების აღსაზრდელად შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების და სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის განუხრელი დაცვის სულისკვეთებით;

მოაწყობს იუსტიციის საქვეუწყებო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა და სახალხო სასამართლოთა კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

მ) მონაწილეობას მიიღებს ავტონომიური ოლქის გამომცემლობის მიერ გამოსაშვები იურიდიული ლიტერატურის გამოცემის გეგმების შემუშავებაში;

ნ) მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს ავტონომიური ოლქის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის; გაეცნობა ამ მუშაობის მდგომარეობას ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კოორდინაციას გაუწევს სამართლებრივი პროპაგანდისათვის მათი მუშაობის გეგმებს და გასცემს საჭირო მეთოდიკურ მითითებებსა და რეკომენდაციებს;

ო) საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს ადვოკატურას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით;

პ) ორგანიზაციას გაუწევს სახელმწიფო სანოტარო კანტორების მუშაობას, შეამოწმებს მათს საქმიანობას და მისცემს მითითებებს მისი გაუმჯობესებისათვის;

ჟ) ორგანიზაციას გაუწევს საგეგმო-საფინანსო მუშაობას სახალხო სასამართლოებსა და სახელმწიფო სანოტარო კანტორებში, შეადგენს მათი შენახვის ხარჯების გეგმათა პროექტებს;

გაანაწილებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწესებულ მუშაკთა რიცხოვნობასა და ხელფასის ფონდს სახალხო სასამართლოებისა და სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიხედვით, დაამტკიცებს მათ საშტატო განრიგებსა და ხარჯთაღრიცხვებს, განახორციელებს მათ დაფინანსებას ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში;

ორგანიზაციასა და კონტროლს გაუწევს სტატისტიკურ და საბუღალტრო აღრიცხვას, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი აღრიცხვის შემცირებისა და სრულყოფისათვის;

განახორციელებს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას საუწყებო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

რ) უზრუნველყოფს დადგენილი წესით სახალხო სასამართლოებისა და სახელმწიფო სანოტარო კანტორების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას; გაანაწილებს გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს მომხმარებელთა მიხედვით, გაასაღებს გამოყოფილ ფონდებს და კონტროლს გაუწევს მათ გამოყენებას დანიშნულებისამებრ;

ს) მიიღებს ზომებს სახალხო სასამართლოების, სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და იუსტიციის სხვა საქვეუწყებო დაწესებულებების მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოფს სახალხო სასამართლოებისა და სანოტარო კანტორების შენობათა მშენებლობასა და რემონტს, აგრეთვე მათ მოწყობა-აღჭურვას;

მიიღებს ზომებს სახალხო სასამართლოების შენობათა მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავების უზრუნველსაყოფად და წარუდგენს მას საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს;

ტ) შეიმუშავებს და შეიტანს დადგენილი წესით წინადადებებს განყოფილებისა და მისი საქვეუწყებო დაწესებულება-ორგანიზაციების აპარატის სტრუქტურის სრულყოფის და შენახვის ხარჯების შემცირების, აგრეთვე სახალხო სასამართლოების შენახვის ხარჯების შემცირების შესახებ;

უ) ორგანიზაციას გაუწევს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან მიაღწევს მათში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს სახალხო სასამართლოების მუშაობაში, განყოფილების საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელთაც იტყობინებიან მოქალაქენი;

კონტროლს გაუწევს წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას სახალხო სასამართლოებში, აგრეთვე საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ფ) მიიღებს ზომებს სახალხო სასამართლოების, განყოფილების აპარატისა და მისი საქვეუწყებო დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება თავის საქმიანობას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების დარგში ახორციელებს საოლქო სასამართლოსთან, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით.

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების უფროსი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით იუსტიციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოს მორიგ სესიაზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსს ჰყავს მოადგილე. იუსტიციის განყოფილების უფროსის მოადგილეს ნიშნავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით. იუსტიციის განყოფილების უფროსსა და მის მოადგილეს შორის მოვალეობებს ანაწილებს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი პერსონალურად პასუხისმგე-

ბელია განყოფილებისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის, განსაზღვრავს განყოფილების უფროსის მოადგილისა და სხვა თანამშრომელთა პასუხისმგებლობას განყოფილების საქმიანობის ცალკეული საკითხების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე განყოფილების საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისათვის.

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილებისა და მისი საქვეუწყებო დაწესებულება-ორგანიზაციების საქმიანობას, აგრეთვე ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევს სახალხო სასამართლოებს ავტონომიურ ოლქში;

დადგენილი წესით შეიტანს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომში წარდგინებას რაიონებისა და ქალაქების თითოეული სახალხო სასამართლოსათვის სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა რაოდენობის შესახებ, ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო საბჭოებში — წარდგინებებს არჩეულ სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან რაიონის, ქალაქის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცების შესახებ;

ბ) შეიტანს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს და მისი აღმასკომის განსახილველად გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტებს განყოფილების კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე;

გ) გამოსცემს განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად;

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს აღმასკომის სხვა განყოფილებათა და სამმართველოთა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და მითითებებს;

დ) დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან განყოფილების აპარატის, რაიონებისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების, განყოფილების საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად; სახალხო მოსამართლის დროებით არყოფნის შემთხვევაში დააკისრებს დადგენილი წესით მისი მოვალეობების შესრულებას ერთ-ერთ სახალხო მსაჯულს, ხოლო იქ, სადაც ორი სასამართლო უბანია, — ერთ-ერთ მოსამართლეს;

ე) წარადგენს სახალხო სასამართლოების, განყოფილების საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განსაკუთრებით წარჩინებულ მუშა-

კებს საპატიო წოდებების მისანიჭებლად, საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად, აგრეთვე გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება მოიწვევს დადგენილი წესით საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით აქტივის თათბირებს, რომლებზეც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, სახალხო სასამართლოების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საჭიროების კვალობაზე ჩატარდება აგრეთვე განყოფილების მუშაკთა ოპერატიული თათბირები, რომლებზეც განიხილავენ განყოფილების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს და მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ სხვა საკითხებს.

თათბირის დადგენილებანი ხორციელდება, როგორც წესი, განყოფილების უფროსის ბრძანებებით.

10. იუსტიციის დაწესებულებათა ორგანიზაციისა და საქმიანობის გაუმჯობესების და სხვა საკითხებზე მეცნიერული რეკომენდაციებისა და სხვა წინადადებების განსახილველად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებასთან შეიძლება შეიქმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმტკიცებისათვის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისადმი მეთოდიკურ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ საკითხთა შემუშავების მიზნით იუსტიციის განყოფილებასთან იქმნება საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭო შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

11. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების შენახვის ხარჯები გაიღება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და აფინანსებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

12. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

35 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, და დამტკიცდეს თანდართული დებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 10 მაისი, № 295

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 10 მაისის № 295 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონის 62-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად არის საოლქო სამმართველო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო თავის საქმიანობაში

ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ძირითადი ამოცანაა ადგილობრივი მრეწველობის ყოველმხრივი განვითარება და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება ოლქში არსებული ადგილობრივი ნედლეულისა და შრომითი რესურსების მაქსიმალური და რაციონალური გამოყენების ბაზაზე.

ამ ამოცანის შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ეკისრება:

— შეადგინოს სამრეწველო წარმოების, შრომის, თვითღირებულების, ფინანსების, კაპიტალური დაბანდებების, მატერიალური და ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები, აგრეთვე შეამოწმოს და უზრუნველყოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული საწარმოო და საფინანსო გეგმებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულება საქალაქო და რაიონული მრეწკომბინატების და უშუალოდ სამმართველოსათვის დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

— შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მასალები საქვეუწყებო საწარმოთა მიერ დასამზადებელი პროდუქციის ფასების დასამტკიცებლად, კონტროლი გაუწიოს ფასების სწორად გამოყენებას საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— დაუმტკიცოს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოებს დავალებანი წარმოების, კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით სამმართველოსათვის დაწესებული გეგმების ფარგლებში, აგრეთვე განუსაზღვროს მათ დამატებითი დავალებანი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— შეადგინოს და დაამტკიცოს საქვეუწყებო სამრეწველო საწარმოთა საფინანსო გეგმები, შექმნას ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ცენტრალიზებული ფონდი და გამოიყენოს ამ ფონდის სახსრები დანიშნულებისამებრ სამმართველოსათვის დაწესებული გეგმის ფარგლებში;

— დაამტკიცოს ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად საქვეუწყებო საწარმოთა შემოსავალ-გასავლის ბალანსები (საფინანსო გეგმები), ამასთან შეატყობინოს ეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს;

— გადაანაწილოს საწარმოთა შორის ჭარბი საკუთარი საბრუნავი სახსრები წლიური ანგარიშის მიხედვით, აგრეთვე საწარმოო გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით საბრუნავი სახსრების ნორმატივების შეცვლისას;

— შექმნას საწარმოებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად რეზერვი წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების 3 პროცენტამდე ოდენობით, სამმართველოს შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით გათვალისწინებული ნორმატივების ზრდის თანხის მიუხედავად;

— გახსნას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიში და განახორციელოს ამ ანგარიშიდან ოპერაციები საქვეუწყებო საწარმოთა შორის საბრუნავი სახსრების გადანაწილებისათვის;

— წარუდგინოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ჩამოსწეროონ საწარმოთა ბალანსიდან შეწყვეტილ მშენებლობათა დანახარჯები და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯები;

— დანერგოს ახალი ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგია, ტექნიკურად სრულყოფილი გამოგონებანი, რაციონალიზატორული წინადადებანი, მოწყობილობის გამოყენების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოთა საწარმოოსაექსპლუატაციო საჭიროებისათვის ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის პროგრესული ნორმები;

— უზრუნველყოს საქვეუწყებო საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა და ადგილობრივი ნედლეულის არსებული რესურსებისა და წარმოების ნარჩენების მაქსიმალური გამოყენება;

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი რენტაბელობის ამაღლებისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

— საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშაობას დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების მოწესრიგების, მათი შერჩევისა და განადგურების უზრუნველსაყოფად, განახორციელოს კონტროლი საქვეუწყებო საწარმოებში საქმისწარმოებისა და არქივების მდგომარეობისადმი;

— გაუნაწილოს საწარმოებს სამმართველოსათვის გამოყოფილი მასალების, ნედლეულის, მოწყობილობის ფონდები და უზრუნველყოს მათი რეალიზაცია; კონტროლი გაუწიოს ნედლეულისა და მასალების სწორად და ეკონომიურად გამოყენებას, აგრეთვე სამმართველოს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის რეალიზაციასა და გასაღებას;

— ორგანიზაცია გაუწიოს კადრების აღრიცხვასა და შერჩევას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოსათვის და წარუდგინოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადებანი კადრების მომზადებისა და გადამზადების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე;

— დაამტკიცოს საქვეუწყებო საწარმოთა ანგარიშები და ბალანსები, შეადგინოს სამმართველოს კრებსითი საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები,

ჩაატაროს საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიები;

— დაამტკიცოს სამმართველოს საქვეუწყებო საწარმოთა დებულებანი და წესდებანი;

— წარუდგინოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადებანი სამმართველოს საქვეუწყებო საწარმოთა შექმნისა და გაუქმების საკითხებზე;

— ხელმძღვანელობა გაუწიოს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, დაამუშაოს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ხელფასის ნორმირების საკითხები, განახორციელოს მუშაობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსს თანამდებობაზე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც შემდგომ მტკიცდება სესიაზე.

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამართველოს უფროსი დანიშნავს და დაითხოვს სამმართველოს აპარატის მუშაკებს, აგრეთვე უშუალოდ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებს, მთავარ (უფროს) ბუღალტრებს, დაწესებული ნომენკლატურის თანახმად.

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსი პერსონალურად პასუხისმგებელია სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს სამმართველოს უფროსის მოადგილის, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უფროსების პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაო უბანზე არსებული მდგომარეობისა და ცალკეულ დავალებათა შესრულებისათვის.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოში იქმნება კოლეგია სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით, რომელიც განიხილავს პრაქტიკული ხასიათის, შესრულების შემოწმების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა და სახელმძღვანელო მასალათა პროექტებს, ანგარიშებს საწარმოთა მუშაობის შესახებ.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი სამმართველოს უფროსის წარდგენით და წარედგინება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

სამმართველოს უფროსსა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში სამმართველოს უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას. ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს.

კოლეგიის წევრებს შეუძლიათ თავის მხრივ აცნობონ თავიანთი აზრი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს.

8. ხელმძღვანელ და ძირეულ მუშაკთა და წარმოების მოწინავეთა გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსი საჭირო შემთხვევებში მოიწვევს აქტივის კრებებს, რომლებზეც განიხილავენ ზემდგომ ორგანოთა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფას, აგრეთვე საწარმოთა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებს.

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო.

10. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

36 ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და გამოცხადდეს ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილი სახელმწიფო დაცვისა და შეზღუდული განაშენიანების ზონებად № № 1 და 2 დანართების თანახმად.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის თანდართული დებულება.

3. შეიქმნას ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურული დაგეგმარების განყოფილებასთან ქალაქის დაცვითი ზონის ინსპექცია, საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო და დაევალოს მათ ზონის შესაბამისი რეჟიმების უზრუნველყოფა.

4. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს ქალაქ ქუთაისის დაცვითი ზონის ინსპექციის შემადგენლობა და დაფინანსების წყაროები მის შესანახავად.

5. დაევალოს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეიმუშაოს 1983-1985 წლებში ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის დეტალური დაგეგმარების პროექტი, ხოლო შემდგომ ამ ზონის ცალკეული უბნების განაშენიანებისა და შენობათა რეკონსტრუქციის პროექტები.

6. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილოს და შეათანხმოს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია საქართველოს სსრ სახმშენთან და „საქმთავარძეგლდაცვასთან“.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს გამოუყოს სახსრები ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს სახელმწიფო დაცვის ზონის დეტალური დაგეგმარების პროექტის შესადგენად 1983-1985 წლებში.

8. დაევალოს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს „საქმთავარძეგლდაცვასთან“ ერთად გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-რეგენერაციასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს მხატვართა კავშირს, საქართველოს არქიტექტორთა კავშირს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად 1983 წლის მეოთხე კვარტალის დამლევამდე განსაზღვრონ ტურიზმის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის იმ ობიექტების შემადგენლობა და ხასიათი, რომელთა განლაგებაც მიზანშეწონილია ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონაში.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინონ 1983-1985 წლებში შესაბამისი ლიმიტებისა და დაფინანსების გამოყოფა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის დაცვის ზონაში გათვალისწინებული განაშენიანების საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად.

17.649

კ. მარქსის სახ. სა

11. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1984 წლიდან ყოველწლიურად გამოუყოს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს სათანადო ასიგნებანი ქუთაისის სახელმწიფო დაცვის ზონაში სარეკონსტრუქციო და სარესტავრაციო სამუშაოებისათვის.

12. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1984 წლიდან გამოყოს 20-30 ბინა ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონიდან ასახლებული ოჯახების უზრუნველსაყოფად.

13. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შესატანად მოქმედ კანონმდებლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 10 მაისი, № 298

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 10 მაისის № 298 დადგენილების დანართი № 1

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრებისა

დაცვის ზონის სამხრეთი საზღვარი იწყება ვ. ი. ლენინის სახელობის ხიდიდან. საწყისი წერტილიდან საზღვარი აღმოსავლეთით გასდევს ვ. ი. ლენინის პროსპექტს, კიბეების გავლით უერთდება კიროვის ქუჩას და მიემართება ჩრდილოეთი მიმართულებით ურიცკის ქუჩამდე, აჰყვება ურიცკის ქუჩას და ტაბიძის ქუჩის გავლით უბრუნდება კიროვის ქუჩას. შემდეგ საზღვარი კიროვის ქუჩის განაშენიანების გავლით ჰკვეთს ცენტრალურ მოედანს და მიუყვება შაუმიანის ქუჩას მეექვსე შესახვევამდე, გასდევს შაუმიანის ქუჩის მე-6 შესახვევს, კიბულის ქუჩას, უბრუნდება კვლავ შაუმიანის ქუჩას შაუმიანის მე-8 შესახვევამდე და ხევის გავლით კვლავ უკან მიემართება სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით; მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროთი საზღვარი აღწევს მდინარის კალაპოტის შევიწროებამდე და სწორი კუთხით გადადის მდინარის მარჯვენა სანაპიროთი ლესელიძის ქუჩაზე. ლესელიძის ქუჩიდან საზღვარი ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით გარს უვლის ბაგრატის ტაძრის ისტორიულ ზონას და გრძელდება ჩანჩიბაძისა და ყაზბეგის ქუჩით სევასტო-

პოლის ქუჩამდე, აქედან რუსთაველის პროსპექტის გადაკვეთით მიჰყვება სევასტოპოლის ქუჩას გრიშაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე და იერთებს მთლიანად გრიშაშვილის ქუჩის განაშენიანებას რუსთაველის პროსპექტიდან თეთრ ხიდამდე. თეთრი ხიდის შემდეგ საზღვარი გასდევს რიონის კალაპოტს ვ. ი. ლენინის სახელობის ხიდამდე — საწყის წერტილამდე. ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საერთო ფართობი შეადგენს 123 ჰექტარს.

1983 წლის 10 მაისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 10 მაისის № 298 დადგენილების დანართი № 2

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის შეზღუდული განაშენიანების ზონის საზღვრებისა

შეზღუდული განაშენიანების სამხრეთი საზღვარი იწყება ვ. ი. ლენინის სახელობის ხიდიდან. საწყისი წერტილიდან საზღვარი სამხრეთით მიჰყვება მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს, ბაქოს I შესახვევთან უხვევს აღმოსავლეთი მიმართულებით, გრძელდება წერეთლის I შესახვევით და გამოდის კიროვის ქუჩაზე. კიროვის ქუჩიდან საზღვარი გრძელდება ურიცკის ქუჩით, გადადის ცხაკაიას ქუჩაზე და ნაზარიშვილის ქუჩის გავლით გამოდის თბილისის ქუჩაზე. თბილისის ქუჩიდან შეზღუდული განაშენიანების ზონის საზღვარი თბილისის ქუჩის I შესახვევით ჰკვეთს მახარაძის ქუჩას და მახარაძის I შესახვევით უერთდება ჯაფარიძის ქუჩას, საიდანაც აღმაშენებლის ქუჩის, კიბულის ქუჩისა და კიბულის I შესახვევის გავლით გარს უვლის „მწვანე ყვავილას“ ისტორიულ განაშენიანებას და ჩადის რიონჰესის სათავე ნაგებობამდე; აქედან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით გადადის მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე და ლესელიძის ქუჩით მიემართება სამხრეთ-დასავლეთით, გარს უვლის დასავლეთი მხრიდან ჩანჩიბაძის, ყაზბეგის, ცაცხვების ქუჩების გავლით უქიმერიონის მთას და გამოდის ვაჟა-ფშაველას ქუჩით, ეშვება კიკვიძის ქუჩით რუსთაველის პროსპექტამდე, ჰკვეთს რუსთაველის პროსპექტს, გარს უვლის გრიშაშვილის ქუჩის განაშენიანებას და უერთდება წულუკიძის ქუჩას. წულუკიძის ქუჩიდან საზღვარი მიჰყვება ჩეჩელაშვილის ქუჩას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უერთდება ვოლოდარსკის ქუჩას, საიდანაც გადის ვ. ი. ლენინის სახელობის ხიდზე, საწყის წერტილთან. ისტორიული ნაწილის შეზღუდული განაშენიანების ზონის საერთო ფართობი შეადგენს 187 ჰექტარს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 10 მაისის № 298 დადგენილებით

დ ე გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონისა და შეზღუდული განაშენიანების ზონის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. ქ. ქუთაისის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში შედის მდინარე რიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის განაშენიანებანი „მწვანე ყვავილადან“ ვ. ი. ლენინის პროსპექტამდე, № 1 დანართის მიხედვით, ხოლო შეზღუდული განაშენიანების ზონაში — № 2 დანართის მიხედვით.

2. ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის გამოცხადება სახელმწიფო დაცვის ზონად მიზნად ისახავს ქალაქის ძველი ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის, დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფას (დაგეგმარების სტრუქტურა, განაშენიანების ხასიათი, მასშტაბი, ლანდშაფტი), მისი რეგენერაციისა და რესტავრაციის სამუშაოთა რეგულირებას იმ ვარაუდით, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის საცხოვრებელი და შრომის პირობები, აგრეთვე ამ ზონაში არსებულ კულტურულ ფასეულობათა პროპაგანდასა და გაცნობას როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელი ტურისტებისათვის.

რეჟიმი:

1. სახელმწიფო დაცვის ზონაში შემავალი ობიექტების დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) აიკრძალოს სახელმწიფო დაცვის ზონაში ახალი მშენებლობა, აგრეთვე საცხოვრებელი ან სხვა ფართობის გაზრდა დაშენების ან მიშენების გზით ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალური გადაწყვეტილებისა და „საქმთავარძეგლდაცვასთან“ შეთანხმების გარეშე;

ბ) თანდათან განთავისუფლდეს სახელმწიფო დაცვის ზონა ისეთი შენობა-ნაგებობებისაგან, რომელნიც არ წარმოადგენენ არქიტექტურულ ან კუ-

ლტურულ-ისტორიულ ფასეულობას და აფერხებენ ძველი ქალაქის სახის ჯეროვნად გამოვლენას;

გ) თანდათან განთავისუფლდეს სახელმწიფო დაცვის ზონა სამეურნეო, სამრეწველო და სხვა ობიექტებისაგან, უწინარეს ყოვლისა ისეთი ობიექტებისაგან, რომელნიც მოითხოვენ ინტენსიურ სატრანსპორტო მომსახურებას.

2. სახელმწიფო დაცვის ზონაში მშენებლობის მიზანდასახული რეგულირებისათვის განისაზღვროს კვლევითი და საპროექტო სამუშაოების წარმოების შემდეგი წესი:

ა) საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას უნდა უძღოდეს არქეოლოგიური, ისტორიულ-არქიტექტურული გამოკვლევა, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრება დაპროექტებისათვის საჭირო წანამძღვრები;

ბ) აღინუსხოს და სათანადოდ დაცულ იქნეს კვლევითი, საპროექტო-საძიებო ან სამშენებლო სამუშაოთა წარმოების შედეგად გამოვლენილ შენობათა, კონსტრუქციათა ნაწილები და დეტალები, რომელნიც არქიტექტურულ-ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენენ;

გ) სახელმწიფო დაცვის ზონაში არსებულ შენობათა დიდი მოცულობის მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან კაპიტალური რემონტის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგეს ქალაქ ქუთაისის არქიტექტურული დაგეგმარების განყოფილების მიერ გაცემული საარქიტექტურო დაგეგმარებითი დავალების საფუძველზე „საქმთავარძეგლდაცვასთან“ შეთანხმებით.

3. ზედამხედველობას სახელმწიფო დაცვისა და შეზღუდული განაშენიანების ზონების ფარგლებში ახორციელებს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურული დაგეგმარების განყოფილებასთან არსებული ძეგლთა დაცვის ინსპექცია.

---

37 საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

ახალ საწარმოთა განლაგების, მოქმედი სამრეწველო ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესახებ რეკომენდაციების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის მოწესრიგების მიზნით და „საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის

15 სექტემბრის № 641 დადგენილების მე-13 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიის წევრთა თანდართული შემადგენლობა.[1]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 17 მაისი, № 309

დამტკიცებულია
საქსრთველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 17 მაისის № 309 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისია შექმნილია „საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემაში მისი როლის ამაღლების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 სექტემბრის № 641 დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე ახალ საწარმოთა განლაგების, მოქმედი სამრეწველო ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) შესახებ რეკომენდაციების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვის მოწესრიგების მიზნით, იმ ვარაუდით, რომ გამოირიცხოს კუთხურობა და ვიწროუწყებრივი მიდგომა აღნიშნული საკითხებისადმი.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყე-

1) კომისიის შემადგენლობა არ იბეჭდება.

ბათაშორისო კომისია განიხილავს და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობებს ავტონომიურ რესუბლიკებში, ოლქში, ქალაქებში, რაიონებში ახალ სამრეწველო საწარმოთა განლაგების, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესახებ, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, გახსახორციელებელ ღონისძიებათა სახალხო-საძეურნეო მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნით. წინადადებებს ახალ სამრეწველო საწარმოთა განლაგებისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და დასაბუთებულად წარმოადგენენ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები მხოლოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიის დასკვნით, ხოლო წინადადებანი თავდაცვითი მრეწველობის დარგების საწარმოთა განლაგების შესახებ განიხილება დადგენილი წესით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სოციალისტური წარმოების განლაგების მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპებით ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების, რაიონული დაგეგმარებისა და სამრეწველო კვანძების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების პროექტების გათვალისწინებით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს:

— სამრეწველო საწარმოთა ოპტიმალური გახლაგება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

— ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქისა და რაიონის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების მაღალი დონის მიღწევა;

— გარემოს დაცვა, აგრეთვე ეკონომიკურად ყველაზე გამოსადეგი სასარგებლო წიაღისეულის, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების პირველ რიგში მოქცევა წარმოებაში და კომპლექსური გამოყენება;

— შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება;

— მრეწველობის მეტისმეტი კონცენტრაციის შეზღუდვა ქალაქებში, რომლებსაც მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვთ სამრეწველო წარმოებაში, და მცირე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განვითარება;

— სამრეწველო კვანძებში საერთო დამხმარე წარმოებების, საინჟინრო ნაგებობებისა და ქსელების მქონე საწარმოთა განლაგება, ხოლო შესაბამის პირობებში — ძირითად წარმოებათა კოოპერირება;

— ყველაზე ეფექტიანი სარაიონთაშორისო და დარგთაშორისი კავშირურთიერთობის განვითარება.

4. წინადადებანი, რომელთაც წარმოუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიას განსახილველად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ახალ სამრეწველო საწარმოთა განლაგების, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების შეთანხმების შესახებ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ შემოტანილ საკითხებზე, უნდა შეიცავდნენ:

— მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქსა და რაიონში ახალი სამრეწველო საწარმოს განლაგების, მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესაძლებლობას წყლის, სათბობ-ენერგეტიკული და მიწის რესურსების არსებობის, აგრეთვე გარემოს გაჭუჭყიანების, ბუნებრივ-ეკონომიკური შეფასებისა და მიწის ნაკვეთების საორიენტაციო ფართობის გათვალისწინებით;

— ცნობებს სამრეწველო პროდუქციის წარმოების დასახული მოცულობის ან მისი გადიდების, მომუშავეთა რაოდენობის (მისი გადიდების) და თავისუფალი შრომითი რესურსების არსებობის შესახებ ახალი სამრეწველო საწარმოს განლაგების, მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციისა და გაფართოების რაიონში;

— სამრეწველო კვანძის შემადგენლობაში ახალი სამრეწველო ობიექტის განლაგების შესაძლებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთებას;

— ცნობებს ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობის, მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციისა და გაფართოების საორიენტაციო ღირებულების შესახებ, აგრეთვე განლაგების რაიონში სამშენებლო ორგანიზაციის სიმძლავრის შესახებ.

5. თუ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ოლქის, ქალაქის, რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომები უარყოფენ სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის შუამდგომლობას ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქში, რაიონში ახალი სამრეწველო საწარმოს განლაგების, მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესახებ, მასალები, რომლებიც ასაბუთებენ შუამდგომლობის უარყოფის მიზეზებს, ეგზავნება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიას.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისია მუშაობს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებთან, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიასთან მჭიდრო კონტაქტით. საჭირო შემთხვევებში აღნიშნული კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ დაინტერესებული ორგანიზაციები.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისია საჭიროების კვალობაზე მოიწვევს სპეციალისტებს, გამოითხოვს მასალებს ახლად მშენებარე ობიექტებისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის შესახებ.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საუწყებათაშორისო კომისიის სხდომა მოიწვევა, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ, აგრეთვე საჭიროების მიხედვით.

---

38 „საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 2 მარტის № 108 შესაბამისი დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

„საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 2 მარტის № 108 შესაბამისი დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 იანვრის № 7 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოოპერაციული საბინაო მშენებლობის მიმდინარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ნოემბრის № 1856 განკარგულება;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 24 თებერვლის № 171 განკარგულება;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 აპრილის № 342 განკარგულება;

— „საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სამმართველოს ცალკეული ორგანიზაციების მუშაკებისათვის საბინაო შეღავათების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 451 დადგენილების 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 17 მაისი, № 311

39 საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის წარმომადგენელ სტუდენტთათვის ნ. ა. ლაკობას სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ოვალსაჩინო მოღვაწის ნ. ა. ლაკობას დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის წარმომადგენელ, სწავლაში წარჩინებულ სტუდენტთათვის ნ. ა. ლაკობას სახელობის ორი სტიპენდია ამ ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 16 მაისი, № 318

40 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისათვის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების დაკისრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინადადება და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმების შესაბამისად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლება ნაცვლად თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს, სამინისტროსათვის დამტკიცებულ ასიგნებათა და შტატების ხარჯზე.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაიხსნას სკოლათმცოდნეობის კათედრა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გადასცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო-დამხმარე პერსონალის 4 საშტატო ერთეული.

4. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 ოქტომბრის № 630 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

•

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 10 ივნისი, № 396

41 მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 მარტის № 249 დადგენილება „მშენებლობაში ზედნადები ხარჯებისა და გეგმიან დაგროვებათა ნორმების შესახებ".

2. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩათვლით, საიჯარო და სამეურნეო წესით შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმები ამ ხარჯების საშუალო ნორმების ფარგლებში, დანართის თანახმად.

სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმები (თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებისათვის დამტკიცებული ამ ხარჯების ნორმების გარდა) წესდება საქართველოს სსრ იმ რაიონებში აღნიშნულ სამუშაოთა განხორციელების პირობების გათვალისწინებით, რომლებისთვისაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 მარტის № 249 დადგენილების მე-7 პუნქტის შესაბამისად შეიძლება გადიდდეს ზედნადები ხარჯების ნორმები.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა ორი თვის ვადაში:

— შეიმუშაოს სსრ კავშირის სახმშენის მიერ დადგენილი წესით და დაამტკიცოს სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმები ნორმატიული პირობებით წმინდა პროდუქციის გამოსაანგარიშებლად (რაიონულ ცენტრებსა და სოფლად საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოთა ნორმების გარდა);

— წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ რაიონების ნუსხა, რომლებშიც შეიძლება დაწესდეს სამშენებლო და სხვა სპეციალიზებულ სამუშაოთა ზედნადები ხარჯების გადიდებული ნორმები.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანიზაციებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ნორმების განუხრელი დაცვის უზრუნველსაყოფად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირებას, კაპიტალური მშენებლობის მართვის სრულყოფას, საწარმოო ფონდების რაციონალურ გამოყენებასა და არამწარმოებლური დანახარჯების შემცირებას.

დაწესდეს, რომ თითოეულ საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციაში სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა საგეგმო თვითღირებულების განსაზღვრისას უნდა შედგეს ზედნადები ხარჯების ნუსხები ყველა მათი მუხლის მიხედვით.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 მარტის № 249 დადგენილებით:

ა) დაწესდა, რომ სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ განსაკუთრებულ შემთხვევებში გადასინჯონ სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და შესაბამისად სსრ კავშირის მშენბანკთან ან სსრ კავშირის სახბანკთან შეთანხმებით:

— სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების მათ მიერ დამტკიცებული ზღვრული ნორმები (ამ ხარჯების საშუალო ნორმების ფარგლებში) და ზედნადები ხარჯების გადიდებული ზღვრული ნორმები;

— მშენებლობაში დასამზადებელ-სასაწყობო ხარჯების ნორმები საშენი, სანიტარიულ-ტექნიკური და ელექტროტექნიკური მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (ფრანკო-ობიექტის-პირა საწყობი) პროცენტულად — 2 პროცენტის, მოწყობილობისა — 1,2 პროცენტის და ლითონის კონსტრუქციებისა — 0,75 პროცენტის ოდენობით;

— სამშენებლო, სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებით დასაქმებული, აგრეთვე ნავთობისა და გაზის ბურღვის სამუშაოების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე დაფინანსებული ორგანიზაციებისათვის — გეგმიან დაგროვებათა ნორმა სახარჯთაღრიცხვო პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების საერთო თანხის 8 პროცენტის ოდენობით;

ბ) ნება დაერთოთ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, მშენებლობის ტერიტორიულ მთავარ სამმართველოებს (სამმართველოებს), მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებულ მთავარ

სამმართველოებს, სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანებებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (საოლქო) საბჭოების აღმასკომებისადმი დაქვემდებარებულ მშენებლობის მთავარ სამმართველოებს დაამტკიცონ საქვეუწყებო გენერალურ საიჯარო და სუბსაიჯარო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებისათვის სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების დიფერენცირებული ნორმები სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების დამტკიცებული ზღვრული ნორმების მიხედვით ხარჯთაღრიცხვებში და შემკვეთებთან ანგარიშსწორების დროს ზედნადები ხარჯების იმ ზღვრული ნორმების შეუცვლელად, რომლებიც დაწესებულია ამ დადგენილების შესაბამისად, ამასთან არ დაუშვან სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა დაგეგმილი ზარალი;

გ) ნება დაერთოთ სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაამტკიცონ მათთვის დაწესებული საშუალო ნორმების გადამეტებით რაიონულ ცენტრებში (რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო დაქვემდებარების ქალაქების გარდა) და სოფლად საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმები ამავე ადგილებში მომუშავე სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული ზედნადები ხარჯების ნორმების მიხედვით.

6. ამ დადგენილებით დაწესებული ზედნადები ხარჯების ნორმები სამოქმედოდ შემოღებულია 1984 წლის 1 იანვრიდან.

7. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 იანვრის № 15 დადგენილება „მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ნორმების შესახებ“, 1969 წლის 4 ივლისის № 402 დადგენილება „საქართველოს სსრ იმ მაღალმთიანი რაიონებისა და დასახლებული პუნქტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებისთვისაც დაწესებულია მშენებლობაში ზედნადები ხარჯების გადიდებული ნორმები“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 9 სექტემბრის № 1247 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 13 ივნისი, № 402

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 13 ივნისის № 402 დადგენილების დანართი

ზღვრული ნორმები

სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის

	სახარჯთაღრიცხვო პირდაპირი დანახარჯების პროცენტულად		
	საიჯარო წესით	სამეურნეო წესით	საქართველოს სსრ რაიონულ ცენტრებში და სოფლად საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო	15,1	—	19,7
საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი	13,8	6,7	19,7
საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი	15,1	—	19,7
თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი . .	14,2	—	19,7
ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი	14,1	—	19,7
ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ სამშენებლო სამუშაოებს სამეურნეო წესით	—	6,7	—

შენიშვნა: ამ დანართით დაწესებულ ზედნადები ხარჯების ზღვრულ ნორმებში გათვალისწინებული არაა შემდეგი დანახარჯები, რომლებიც უნდა ანაზღაურდეს დადგენილი წესით ამ ნორმების გადამეტებით:

დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილებებით დაწესებულ წელთა ნამსახურობის ერთდროული გასამრჯელოს და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ რაიონებში მუშაობისათვის პროცენტული დანამატების გაცემასთან;

დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო წოდებისათვის დანამატებთან, მშენებლობაში მოძრავი და მიმოსვლითი ხასიათის სამუშაოებთან, სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაკთა მივლინებასთან;

დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 ივლისის № 730 დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1109 დადგენილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 თებერვლის № 98 და 1980 წლის 12 მარტის № 206 დადგენილებებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 სექტემბრის № 755 დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებასთან;

დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ნაკლებდასახლებულ და ძნელმისადგომ, საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ადგილსამყოფელისაგან მნიშვნელოვნად დაშორებულ რაიონებში სამრეწველო, სახაზო მშენებლობისა და დაქსაქსული ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა ორგანიზაციის სავახტო მეთოდის გამოყენებასთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

42 საბჭოთა კავშირის გმირის, პროფესორ დ. ვ. ჯაბიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის, ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის და თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადებანი საბჭოთა კავშირის გმირის, პროფესორ დავით ვასილის ძე ჯაბიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს საბჭოთა კავშირის გმირის დ. ვ. ჯაბიძის სახელი:
— თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის საშუალო სკოლას;
— თერჯოლის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლს.

2. დაწესდეს დ. ვ. ჯაბიძის სახელობის ერთი სტიპენდია თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი სამხედრო სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:
— მიაკუთვნოს საბჭოთა კავშირის გმირის დ. ვ. ჯაბიძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

№ 3 საქართველოს ბიბლიოთეკა

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა დ. ვ. ჯაბიძე;

— კეთილმოაწყოს განსვენებულის საფლავი.

4. ნება დაერთოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დახარჯოს დ. ვ. ჯაბიძის საფლავის კეთილმოსაწყობად 2,5 ათასი მანეთი ადგილობრივი ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლის სახსრებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 17 ივნისი, № 413

43 საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ

„საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილება „საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ“ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 ოქტომბრის № 1130 დადგენილებისა „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აბანოებისა და სამრეცხაოების ტიპური შტატების და სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციათა საპარიკმახეროების საშტატო ნორმატივების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ოქტომბრის № 1222 დადგენილება „დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებთან არსებული ინტერნატების ადმინისტრაციულ-პედაგოგიური და მომსახურე პერსონალის შტატებისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“;

— მე-8 პუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 სექტემბრის № 1187 დადგენილებისა „მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-4 პუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 თებერვლის № 82 დადგენილებისა „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჟართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 27 ივნისი, № 430

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 816

1982 წლის 2 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ

სსრ კავშირის კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით და საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ.

2. რჩევა მიეცეთ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შექმნან, გარდაქმნან და გააუქმონ თავიანთ სისტემაში შემავალი საწარმოები, გაერთიანებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნების დაცვით.

3. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშაონ და დაამტკიცონ ინსტრუქცია ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების გამოყენების შესახებ.

4. დამტკიცდეს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა თანდართული ცვლილებანი.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ

1. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ანალოგიურ გაერთიანებებს (კომბინატებს), ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ქმნიან სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები.

გადაწყვეტილებებს აღნიშნულ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის შესახებ სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები მიიღებენ მას შემდეგ, რაც წინასწარ განიხილავენ ამ საკითხებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად.

2. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებს, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ანალოგიურ გაერთიანებებს (კომბინატებს), ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ქმნიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან იქმნება მათ მიერ დადგენილი წესით. ამასთან გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკის იმ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების საქვეუწყებო საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის შესახებ, რომლებსაც გეგმის მაჩვენებლებს უწესებენ სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, უნდა შეუთანხმდეს სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტს ან უწყებას.

გადაწყვეტილებანი ერთი მოკავშირე რესპუბლიკის საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის

ტერიტორიაზე შექმნის შესახებ მიიღება შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შორის შეთანხმებით.

3. საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სახელმწიფო ორგანოები ქმნიან მათთვის გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსების, შრომის გეგმების, საბიუჯეტო ასიგნებათა და სხვა დაწესებული ლიმიტებისა და ნორმატივების ფარგლებში.

4. სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს (მათ შორის საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ანალოგიურ გაერთიანებათა შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციებს), მათი დაქვემდებარების შესაბამისად, ქმნიან სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით. წარდგინებანი აღნიშნულ ორგანიზაციათა შექმნის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეაქვს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ან სსრ კავშირის სახმშენს სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებათა საფუძველზე.

5. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განმხორციელებელ გაერთიანებებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც არ შედიან სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში და სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში, საკავშირო დაქვემდებარების ნაკრძალებს, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებსა და კინოსტუდიებს, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, ქმნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

წინადადებანი აღნიშნულ ორგანიზაციათა შექმნის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეაქვთ დაინტერესებულ ორგანოებს:

ა) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განმხორციელებელი გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნის შესახებ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან ან სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტთან, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

ბ) ნაკრძალების შექმნის შესახებ — შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე შესაქმნელი ნაკრძალების შესახებ — აგრეთვე სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

გ) უმაღლესი სასწავლებლების შექმნის შესახებ — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კინოსტუდიების შექმნის შესახებ — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში საწარმოები, გაერთიანებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იქმნება (უშუალოდ მოსახლეობის მომსახურებისათვის, საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის და ქალაქისა და ოლქის მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის შესაქმნელის გარდა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით. წინადადებანი აღნიშნულ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის შესახებ შეაქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მას შემდეგ, რაც ამ საკითხებს წინასწარ შეუთანხმებენ შესაბამისად მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო ან მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

გადაწყვეტილებებს ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში უშუალოდ მოსახლეობის მომსახურებისათვის, საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის და ქალაქისა და ოლქის მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის საწარმოთა, გაერთიანებათა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის შესახებ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები მიიღებენ შესაბამისად მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო ან მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

7. ქვემოთ დასახელებული საწარმოები, გაერთიანებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იქმნება:

ა) გაერთიანებები, სამმართველოები, განყოფილებები, ტრესტები, სავაჭრო ორგანიზაციები, ინსპექციები, კანტორები და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც მმართველობის ფუნქციები აქვთ, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციები — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

ბ) მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციები — სსრ კავშირის სახმომარაგებასთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

გ) სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოები — სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

დ) საინფორმაციო-გამოთვლითი და მანქანათსაანგარიშო სადგურები — სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ან მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, გამოთვლითი (საინფორმაციო-გამოთვლითი) ცენტრები — სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრები ან სხვა გამოთვლითი (საინფორმაციო-გამოთვლითი) ცენტრები, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, რაიონებში, სადაც მოქმედებენ ან იქმნება კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრები; — აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

ე) საძიებო ორგანიზაციები — სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

ვ) მუშათა მომარაგების სამმართველოები და განყოფილებები — სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

ზ) საშუალო სპეციალური სასწავლებლები — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმები ან სატყეო მეურნეობა-ტექნიკუმები — გარდა ამისა, შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან ან სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

თ) დარგობრივი და დარგთაშორისი ინსტიტუტები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

ი) სკოლისგარეშე დაწესებულებები — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, ხოლო დამტკიცებული ნომენკლატურით გაუთვალისწინებელ სკოლისგარეშე დაწესებულებათა შექმნის შემთხვევაში — აგრეთვე სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

კ) გამომცემლობები, პოლიგრაფიული და საშტემპელო-საგრავიორო საწარმოები — სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტთან ან მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო პოლიგრაფიული და საშტემპელო-საგრავიორო საწარმოები — აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოებთან შეთანხმებით;

ლ) თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით;

მ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ნაკრძალები — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე შესაქმნელი ნაკრძალები — აგრეთვე სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

წინადადებანი საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის შესახებ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში შეაქვთ სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

8. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებები იქმნება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს ნებართვით შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით.

9. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები იქმნება, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, სსრ კავშირის განათლების სა-

მინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან.

10. საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ფილიალები, განყოფილებები და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფები იქმნება საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნისათვის დადგენილი წესით.

11. საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებს (დებულებებს) ამტკიცებენ მათი ზემდგომი ორგანოები.

12. საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გარდაქმნა ხდება შესაბამის საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და გაერთიანებათა შექმნისათვის დადგენილი წესით.

13. საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს აუქმებენ ის ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებითაც ისინი შეიქმნა. ამასთან გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკის იმ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების საქვეუწყებო საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ, რომლებსაც გეგმის მაჩვენებლებს უწესებენ სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, უნდა შეუთანხმდეს სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტს ან უწყებას.

14. საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების შესახებ ეცნობებათ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982
წლის 2 სექტემბრის № 816
დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში

1. „მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის მანქანებისა და მოწყობილობის დამზადებისა და კომპლექტური მიწოდების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 4 აგვისტოს № 77 დადგენილების

მე-12 პუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკასთან“ შეთანხმებით“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ., № 19-20, მუხ. 155) მე-7 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „იმ ორგანოს მიერ დამტკიცებული, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ“ შეიცვალოს სიტყვებით: „ზემდგომი ორგანოს მიერ დამტკიცებული“.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 640 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის სამინისტროების ზოგადი დებულების (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 17, მუხ. 116) მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. სსრ კავშირის სამინისტრო დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გაუქმებს საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს“.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 64 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების დებულების (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 4, მუხ. 24) დებულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უმაღლეს სასწავლებლებს, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, შექმნის, გარდაქმნის და გაუქმებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო“.

5. „კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 ოქტომბრის № 808 დადგენილების 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტები და კურსები შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის დებულებით გათვალისწინებული პირობებით, ხოლო აღნიშნულ ინსტიტუტებში და კურსებზე სწავლის ვადები დაწესდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად“.

6. „ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 1 სექტემბრის № 709 დადგენილების 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 აგვისტოს № 623 დადგენილების გათვალისწინებით)“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის დებულებით გათვალისწინებული პირობებით“.

7. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ობიექტებზე დამონტაჟებული მოწყობილობის ასამუშავებელ-გასამართავ სამუშაოთა და ამ მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა „საკსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებისათვის დაკისრების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 28 ივნისის № 444 დადგენილების მე-7 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საკსოფლტექნიკასთან“ შეთანხმებით“.

8. „პროფესიულ-ტექნიკური განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის № 1007 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ., № 2, მუხ. 10) 1-ლი პუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი“.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982
წლის 2 სექტემბრის № 816
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1926 წლის 23 ივნისის დადგენილება „კავშირში საფქვავი საქმის მართვის ორგანიზაციის შესახებ“ (ოქმი № 255, პუნქტი 6).

2. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის 24 ივნისის დადგენილება „სახელმწიფო საცალოს შესახებ“ (ოქმი № 332, პუნქტი 28).

3. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წლის 11 სექტემბრის № 230 დადგენილება.

4. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 11 აპრილის № 829 დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებების და მათი ადგილობრივი ორგანოების შტატების შემცირების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1934 წ., № 20, მუხ .157).

5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 9 დეკემბრის № 2623 დადგენილება „სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1935 წ., № 64, მუხ. 518).

6. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს 1939 წლის 3 ნოემბრის № 1255 დადგენილება „გორკის ოლქის ქალაქ პავლოვში ლითონის ნაკეთობათა შემსყიდველი კანტორებისა და სააგენტოების ლიკვიდაციის შესახებ“.

7. მე-12 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 4 თებერვლის № 112 დადგენილებისა „მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

8. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 20 სექტემბრის № 2394 დადგენილებისა „სამრეწველო საწარმოებთან არსებული საბავშვო სახლების შესახებ“.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 12 ივნისის № 7539 განკარგულება.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 აგვისტოს № 1731 დადგენილება „საბჭოთა, სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატების გაფართოების აკრძალვის შესახებ“ ახალ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის აკრძალვის ნაწილში.

11. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 7 აპრილის № 887 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოვეტერინარულ დაწესებულებათა ტიპობრივი შტატების შესახებ“.

12. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 21 ივლისის № 2600 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სოფლელექტროს“ ორგანიზაციების საექსპლუატაციო-საწარმოო უბანთა ტიპობრივი შტატების შესახებ“.

13. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 29 სექტემბრის № 3424 დადგენილებისა „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აბანოებისა და სამრეცხაოების ტიპობრივი შტატების და სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების საპარიკმახეროთა საშტატო ნორმატივების შესახებ“.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 11 ოქტომბრის № 3568 დადგენილება „დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებთან არსებული ინტერნატების ადმინისტრაციულ-პედაგოგიური და მომსახურე პერსონალის შტატებისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“.

15. 1-ლი და მე-2 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 ივლისის № 2408 დადგენილებისა „დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების გახსნის წესის შესახებ“.

16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 30 ივლისის № 11853 განკარგულება.

17. 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 9 აგვისტოს № 3408 დადგენილებისა „სამშობიარო სახლებისა და მათთან არსებული ქალთა კონსულტაციების ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის ტიპობრივი შტატების შესახებ“.

18. 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 9 აგვისტოს № 3409 დადგენილებისა „ქალაქებსა და სოფლებში მუდმივი საბავშვო ბაგების ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის ტიპობრივი შტატების შესახებ“.

19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 17 ნოემბრის № 21963 განკარგულების 1-ლი პუნქტი.

20. მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 ოქტომბრის № 4438 დადგენილებისა „სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საჩაიეების, კაფეებისა და სასაუზმეების ტიპობრივი შტატების შესახებ“.

21. მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 ოქტომბრის № 4546 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საკბოსტანჯიშთესლის“ სარაიონთაშორისო, რაიონული კანტორების, დამამზადებელი პუნქტებისა და მაღაზიების ტიპობრივი შტატების შესახებ“.

22. მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 24 ნოემბრის № 4971 დადგენილებისა „საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურების რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ტრესტების (კანტორების) მუშაკთა ტიპობრივი შტატებისა და თანამდებობების და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურების ტიპობრივი შტატების შესახებ“.

23. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 29 იანვრის № 260 დადგენილებისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარმეორეულნედლეულის რაიონული, სარაიონთაშორისო და საქალაქო (საოლქო და სამხარეო დაქვემდებარების) დამამზადებელი კანტორების მუშაკთა ტიპობრივი შტატებისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“.

24. მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 6 მარტის № 716 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ხილ-კენკრეულის სანერგეთა ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ტიპობრივი შტატების შესახებ“.

25. მე-10 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრების უფლებათა გაფართოების შესახებ“.

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 8 ივლისის № 8961 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აგვისტოს № 10493 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

28. მე-8 პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 13 აგვისტოს № 2149 დადგენილებისა „მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

29. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 21 აგვისტოს № 11052 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის

№ 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 14 სექტემბრის № 12188 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

31. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 30 სექტემბრის № 12979 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

32. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 30 ოქტომბრის № 2865 დადგენილებისა „სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის ბავშვთა შვიდწლიანი მუსიკალური სკოლების ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატებისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“.

33. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 22 თებერვლის № 319 დადგენილებისა „სახელმწიფო ბანკის გამგეობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

34. მე-6 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 მარტის № 387 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითს სიტყვაში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

35. მე-13 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 19 მარტის № 481 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ორგანიზაციის საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

36. მე-11 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 მარტის № 516 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს ორგანიზაციის საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

37. მე-17 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 აპრილის № 786 დადგენილებისა „მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ქალაქ მოსკოვში საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

38. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 2 ივლისის № 7140 განკარგულება.

39. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 2 ივლისის № 7141 განკარგულების მე-5 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

40. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 30 ივლისის № 8296 განკარგულების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

41. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 31 ივლისის № 8323 განკარგულება.

42. მე-8 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 13 ოქტომბრის № 2129 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების კომიტეტის ორგანიზაციის საკითხები" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

43. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 21 ოქტომბრის № 11674 განკარგულების მე-6 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

44. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 იანვრის № 508 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი.

45. 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 808 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის ზოგიერთი მიმდინარე საკითხის გადაწყვეტის გადაცემის შესახებ" საკავშირო დაქვემდებარების საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების ნაწილში.

46. მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 810 დადგენილებისა „სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრისათვის ზოგიერთი მიმდინარე საკითხის გადაწყვეტის გადაცემის შესახებ".

47. „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები" 56-ე პუნქტი და დანართის „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები" მე-5 პუნქტი, აგრეთვე დანართის „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები" 57-ე პუნქტი რესპუბლიკური დაქვემდებარების ცალკეული საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სპეციალიზებული სადგურების შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების ნაწილში.

48. მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრების ზოგიერთი დამატებითი უფლების შესახებ".

49. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 30 აგვისტოს № 6345 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

50. მე-10 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 ივნისის № 750 დადგენილებისა „სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსაგან მთავარსამხედროვაჭრობის სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 810 დადგენილების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

51. 23-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 აპრილის № 461 დადგენილებისა „მოსკოვის ოლქში მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1001 დადგენილების მე-10 პუნქტით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

52. 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 აპრილის № 462 დადგენილებისა „ლენინგრადის საქალაქო საბჭოსთან არსებული მთავარლენინგრადმშენის უფროსის უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

53. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 27 ივნისის № 1683 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენლების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

54. 36-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 1041 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგიერთი საკითხის დამატებით გადაცემის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1957 წ., № 10, მუხ. 105).

55. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 6 სექტემბრის № 1076 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1957 წ., № 11, მუხ. 113). სსრ კავშირის მინისტრლა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

56. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 ნოემბრის № 3529 განკარგულების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

57. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 იანვრის № 114 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების

შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

58. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 სექტემბრის № 3140 განკარგულების 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

59. 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 დეკემბრის № 1425 დადგენილებისა „უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ქარხნების, ავრეთვე უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული სამრეწველო საწარმოებისა და საამქროების ორგანიზაციის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1960 წ., № 1, მუხ. 3).

60. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 იანვრის № 43 დადგენილებისა „ქალაქ ვლადივოსტოკის განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 863 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

61. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 მარტის № 841 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლი 4 მაისის № 863 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

62. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 ოქტომბრის № 1069 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს საკითხები“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

63. მე-8 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 აპრილის № 296 დადგენილებისა „სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1961 წ, № 7, მუხ. 65) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

64. მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 ივნისის № 521 დადგენილებისა „სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების ქსელის მოწესრიგების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1961 წ., № 10, მუხ. 82).

65. მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 19 ივლისის № 777 დადგენილებისა „ტელეფილმების“ წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, კინოსტუდიების დაფინანსების და კინოს შემოქმედ მუშაკთათვის დადგმის გასამრჯელოს გადახდის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

66. 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 27 ივლისის № 486 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების ორგანიზაციის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1964 წ., № 12, მუხ. 78).

67. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 ნოემბრის № 936 დადგენილება „საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა შექმნის, გარდაქმნისა და ლიკვიდაციის საქმეში სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა უფლებების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1964 წ., № 25, მუხ. 145).

68. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 17 მარტის № 536 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

69. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 19 აპრილის № 819 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

70. 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 აგვისტოს № 652 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ამ კომიტეტთან არსებული მთავარი სამმართველოების უფროსთა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოების უფროსთა უფლებების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ. № 18, მუხ. 163) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში, აგრეთვე ამ დადგენილების მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“ მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების ნაწილში.

71. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 916 დადგენილებისა „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთოსახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 25, მუხ. 220).

72. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 სექტემბრის № 962 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსისა და ამ მთავარი სამმართველოს სამმართველოთა უფროსების უფლებების შესახებ“ (სსრკ დადგენილებათა კრებ., 1967 წ., № 1, მუხ. 2) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

73. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 მარტის № 260-101 დადგენილების მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

74. მე-2 პუნქტის მეშვიდე და მეცხრე აბზაცები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებისა „მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის ხელმძღვა-

ნელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 14, მუხ. 95).

75. მე-6 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 8 აგვისტოს № 754 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

76. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 აპრილის № 662 განკარგულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში.

77. მე-17 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აპრილის № 309 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 12, მუხ. 66).

78. მე-3 პუნქტის მესამე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 აპრილის № 234 დადგენილებისა „მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარმოსავტოტრანსში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1970 წ., № 7, მუხ. 55).

79. მე-3 პუნქტის მესამე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 2 ივლისის № 459 დადგენილებისა სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1976 წ., № 13, მუხ. 94).

80. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 3 სექტემბრის № 767 დადგენილებისა „სკოლისგარეშე დაწესებულებათა ნომენკლატურისა და მათი შექმნის წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1975 წ., № 19, მუხ. 125).

81. მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 თებერვლის № 93 დადგენილებისა „1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობისათვის საბჭოთა სპორტსმენების მომზადების სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სპორტული პროფილის არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დახურვის, აგრეთვე ახლის გახსნის ნაწილში.

---

44 იმ ძვირფასი, იშვიათ მერქნიანი და ბუჩქნარი მცენარეების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებიც არ უნდა მოიჭრას მთავარი სარგებლობის ჭრის დროს

„სსრ კავშირის ტყეებში მერქნის ძირზე გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 ოქტომბრის № 1045 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 ოქტომბრის № 1045 დადგენილებით დამტკიცებული „სსრ კავშირის ტყეებში მერქნის ძირზე გაცემის წესების“ მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს დამატებითი სია საქართველოს სსრ ტყეებში არსებული ძვირფასი, იშვიათმერქნიანი და ბუჩქნარი მცენარეებისა, რომლებიც არ უნდა მოიჭრას მთავარი სარგებლობისა და ტყის აღდგენითი ჭრის დროს: ცაცხვი, წაბლფოთოლა და კორპის მუხა, ყველა სახეობის ნეკერჩხალი, ყველა სახეობის ღვია, პანტა, კუნელი, შინდი.

აკრძალულია ქართული ნეკერჩხლისა და მყრალი ღვიის მოჭრა, რომლებიც შეტანილია წითელ წიგნში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისის № 395 დადგენილების დანართის მე-4 გრაფაში დასახელებული ზოგიერთი ჯიშის „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანასთან დაკავშირებით, შეიცვალოს ეს გრაფა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ჭრა — აკრძალული ძვირფასი ჯიშების (ცაცხვი, წაბლფოთოლა და კორპის მუხა, ჭადარი, თუთა, მაჟალო, პანტა, კუნელი, შინდი და სხვა) მოჭრა — დაზიანებისათვის“.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს გააცნონ ეს დადგენილება ტყის დაცვის ყველა მუშაკს.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 იანვრის № 52 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 28 ივნისი, № 433

45 საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 29 ივნისი, № 437

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 29 ივნისის № 437
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი (საქსახლვინმრეწვი) საქართველოს სსრ კონსტიტუციის 129-ე მუხლის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური კომიტეტი და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი სამეურნეო ანგარიშზეა.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ღვინის, სპირტისა და ლიქიორ-არაყის მრწველობისადმი.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების ტექნიკური დონისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და ღვინის მრეწველობის ყოველგვარ პროდუქციაზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის.

2. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

— რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის, როგორც მისი სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივი გაფართოება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპი ღვინის მრეწველობის პროდუქციაზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების მიზნით;

— სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა;

— მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვა და წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონლური გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედება და მოკლე ვადებში ათვისება;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი;

— კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წარმოებაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა.

3. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების სწორ შეხამებას, ისეთი ეკონომიკური ბერკეტების რაც შეიძლება სრულად გამოყენებას, როგორიცაა მოგება, ფასი, პრემია და კრედიტი, მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვას ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას.

4. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს ხელმძღვანელი, სამეურნეო, საინჟინრო კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების ლენინური პრინციპების განხორციელებას, აკონტროლებს პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას ხელმძღვანელი კადრების მიერ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით კადრებს ზრდის შრომისადმი კომუნისტური დამო-

კიდებულების, სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის განუხრელი დაცვის სულისკვეთებით, იღებს ზომებს მატერიალური და მორალური სტიმულირების სწორი შეხამებისათვის საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის და თითოეული მუშაკისათვის მინდობილი საქმისა და კოლექტივის მუშაობის საერთო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით.

5. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი, მისი საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ აღნიშნული კომიტეტის სისტემას.

6. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი წყვეტს ყველა საკითხს მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში და შეუძლია დაავალოს თავის კომპეტენციაში შემავალ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტა საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მოვალეა განუხრელად დაიცვას სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით და მოქმედი კანონმდებლობის სხვა აქტებით გათვალისწინებული თავისი სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უფლებანი და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს კონტაქტებსა და საქმიან თანამშრომლობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დარგთაშორისი საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტაში.

7. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს და წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს.

8. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს თავისი სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სოციალისტური საკუთრების დაცვას და ყაირათიანად გამოყენებას.

9. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს მართვის დემოკრატიული საწყისების განვითარებას, ქმნის პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებს, რათა მშრომელებმა და მათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების სრულყოფის და კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის მუშაობაში.

მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი წყვეტს საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში — ამ ორგანოებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

10. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, ამტკიცებს საწარმოთა წესდებებს და კომიტეტის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს.

11. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი დაგეგმვისა და წარმოების დარგში მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეისწავლის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს მეღვინეობის პროდუქციაზე და დაგეგმავს ღვინის მრეწველობის განვითარებას კომიტეტის სისტემის მიხედვით და ტერიტორიული თვალსაზრისით ქვეყნის, საქართველოს სს რესპუბლიკისა და ეკონომიკური რაიონების სახალხო მეურნეობის ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სპეციალიზაციისა და განლაგების გათვალისწინებით;

ბ) უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და აღდგენას, ამასთან გაითვალისწინებს მათი ექსპლუატაციის დროს სხვა დარგებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის ინტერესებს, განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სამრეწველო და სამეურნეო ნაყარით, ჩამდინარი წყლებით, რადიოაქტიური ნივთიერებებითა და წარმოების ნარჩენებით ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დასაცავად, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შესანარჩუნებლად;

გ) მოაწყობს მუშაობას კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შესამუშავებლად;

დ) განსაზღვრავს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრებიდან გამომდინარე პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრებს და დაუგზავნის კომიტეტის სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების და თავისი სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ წარდგენილი გეგმების პროექტების საფუძველზე კომიტეტის სისტემის მიხედვით პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს

მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის საბინისტროსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

განიხილავს საწარმოთა და ორგანიზაციათა მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების ბიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახლმწიფო გეგმების დავალებათა შესაბამისად, ამასთან უზრუნველყოფს აღნიშნული გეგმების ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის დაკავშირებას;

ე) საჭირო შემთხვევებში შეუცვლის დადგენილი წესით რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს წარმოების, კაპიტალური მშენებლობისა და სხვა მაჩვენებლების დავალებებს კომიტეტისათვის დაწესებულ საგეგმო დავალებათა ფარგლებში;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს კომიტეტის სისტემის საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

განსაზღვრავს დაინტერესებული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით კომიტეტის სისტემის საწარმოების მიერ იმ ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების მოცულობას, რომელიც გათვალისწინებული არაა ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში;

მიიღებს ზომებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებისათვის;

ზ) უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას კომიტეტის სისტემის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

თ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებს და საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს, უზრუნველყოფს დამტკიცებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას;

ი) დაამტკიცებს ან წარადგენს დასამტკიცებლად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს; კონტროლს გაუწევს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ფასებისა და ტარიფების გამოყენების სისწორეს;

კ) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციის, აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს;

ლ) საქართველოს სსრ სპოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კომიტეტის სისტემის საწარმოებისათვის ნედლეულის ბაზის შექმნისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

მ) მონაწილეობას მიიღებს დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდისათვის მუშაობაში და ღვინის მრეწველობის საწარმოთა მიერ გამოყენებული ყურძნის, ხეხილის ნარგავებისა და სხვა კულტურების სასოფლო-სამეურნეო ჯიშების დარაიონებასთან და ტექნოლოგიურ შეფასებასთან და ამ კულტურების განლაგებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტაში;

ნ) მონაწილეობას მიიღებს ყურძნის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შემუშავებაში, მოაწყობს ცალკეულ სახეობათა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადებას კომიტეტის საწარმოებისათვის;

ო) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით ღვინის მრეწველობის ნედლეულისა და პროდუქციის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს; უზრუნველყოფს გამოყოფილი ფონდების შესაბამისად განაწილების ბალანსებსა და გეგმებში შეტანილი ნედლეულისა და პროდუქციის მიწოდებას;

პ) მოაწყობს სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქტების წარმოებას კომიტეტის საბჭოთა მეურნეობებში ღვინის მრეწველობის საწარმოების მიერ გადასამუშავებლად და ნედლი სახით მისაწოდებლად;

ჟ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს ღონისძიებებს კომიტეტის საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის;

რ) კონტროლს გაუწევს პროდუქციის ხარისხსა და სანიტარიული რეჟიმის დაცვას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, პროდუქციის ხარისხისადმი დაწესებული მოთხოვნების დარღვევის ან სანიტარიული რეჟიმის დაუცველობის შემთხვევაში შეაჩერებს პროდუქციის წარმოებას და მის მიწოდებას სავაჭრო ორგანიზაციებისათვის;

ს) უზრუნველყოფს საგარეო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საექსპორტო პროდუქციის წარმოების დავალებათა შესრულებას, მიიღებს ზომებს იმ საექსპორტო საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, რომლის რეალიზაციას მაღალი სავალუტო ეფექტიანობა აქვს; მონაწილეობას მიიღებს პროდუქციის ექსპორტის საკითხებზე ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

ტ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთის გადაზიდვის გეგმებს, აგრეთვე მოაწყობს ამ ტვირთის გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით.

12. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში:

ა) განახორციელებს სისტემატურ მუშაობას სასურსათო საქონლის წარმოებისა და გამოშვების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიკური დონის შეფასებისათვის; განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენების გზებს და უზრუნველყოფს ღვინის მრეწველობის განვითარების მაღალ ტექნიკურ დონეს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე;

ბ) შეიმუშავებს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს დარგში მეცნიერული ძიებიდან მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვამდე, აგრეთვე შეასრულებს კომპლექსური დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;

გ) უხელმძღვანელებს კომიტეტის საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობას და განახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფის და მათი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს;

დ) უზრუნველყოფს საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს თანამედროვე დონის შესაბამისი საჭირო საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზით;

ე) უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების და სახალხო მეურნეობის მოთხოვნების შესაბამისი ახალ სახეობათა პროდუქციის, მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების შემუშავებასა და წარმოებაში დანერგვას, განახორციელებს წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და უფრო ეკონომიური მასალებისა და ნედლეულის გამოყენების ღონისძიებებს;

გადაწყვეტს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით სახალხო მოხმარების იმ საქონლის წარმოებიდან მოხსნის საკითხებს, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნით არ სარგებლობს;

ვ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად სახელმწიფო სტანდარტების პროექტებს, უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების და პროდუქციის ხარისხის გამოცდისა და გაზომვის თანამედროვე საშუალებათა და მეთოდების დანერგვას, აგრეთვე კონტროლს სტანდარტების დაცვისადმი და გამოცდისა და გაზომვის საშუალებათა მდგომარეობისადმი.

დაამტკიცებს დარგობრივი მნიშვნელობის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას პროდუქციის ცალკეული სახეობებისათვის, რომლებსაც არა აქვთ სახელმწიფო სტანდარტები,

ზ) ორგანიზაციას გაუწევს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, უზრუნველყოფს დარგის მიხედვით სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მომზადებასა და გამოცემას დადგენილი წესით;

თ) უხელმძღვანელებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის მუშაობას კომიტეტი განახორციელებს პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად;

ი) უზრუნველყოფს სამამულო და უცხოური საპატენტო მასალების ფართოდ შესწავლას და მათ გამოყენებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების და არსებულის სრულყოფის დროს, გააანალიზებს პროდუქციის პატენტუნარიანობას, აგრეთვე ტექნოლოგიურ პროცესებს, უზრუნველყოფს

დადგენილი წესით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ განაცხადების წარდგენას სსრ კავშირში საავტორო მოწმობათა გასაცემად, ხოლო მიზანშეწონილობის შემთხვევებში — საზღვარგარეთ გამოგონებათა დასაპატენტებლად;

კ) შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით წინადადებებს ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე პროგრესული მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების ლიცენზიების საზღვარგარეთ შესასყიდად, უზრუნველყოფს შესყიდული ლიცენზიების მიხედვით პროდუქციის წარმოების რაც შეიძლება მალე ათვისებას.

13. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი კაპიტალური მშენებლობის დარგში:

ა) განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას თავის სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურ განლაგებას, დარგის პროგრესულ წარმოებათა უპირატეს განვითარებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, დარგთაშორისი და შინადარგობრივი პროპორციების გაუმჯობესებისათვის, ასამოქმედებელ მშენებლობებზე კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციისა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებისათვის;

ბ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს;

უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავებას, დამტკიცებასა და მშენებლობებისათვის გადაცემას;

კონტროლს გაუწევს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მშენებარე ობიექტებისათვის მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხისადმი; ორგანიზაციას გაუწევს საავტორო ზედამხედველობას მშენებლობისადმი;

გ) უზრუნველყოფს მშენებლობათა დაფინანსებას და მათ მომარაგებას მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით, რომელთა მიწოდება შემკვეთს ევალება;

კონტროლს გაუწევს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ შეკვეთების წარდგენას კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი ფონდებისა და მათი შესაძენი ასიგნებების შესაბამისად;

შეიმუშავებს მშენებლობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციის ღონისძიებებს და კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას;

დ) უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედებას, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეების ათვისებას მოკლე ვადებში;

დანიშნავს კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს მშენებლობადამთავრებული საწარმოებისა და შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციოდ მისაღებად, დაამტკიცებს აქტებს მათი მიღების შესახებ და მიიღებს გადაწყვეტილებებს კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების დახურვის შესახებ;

ე) ორგანიზაციას გაუწევს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლობის ამაღლებას, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის ამაღლებისა და მისი გაიაფებისათვის;

ვ) ნებას დართავს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააერთიანონ სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კაპიტალური დაბანდებანი, რაც მათ გამოეყოფათ საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის და განათლების ობიექტების მშენებლობისათვის.

14. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

ა) განსაზღვრავს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, განკარგავს კომიტეტისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

ბ) გაანაწილებს კომიტეტისათვის გამოყოფილ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდებს უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და დაწესებულებათა შორის, გადაანაწილებს საჭირო შემთხვევებში აღნიშნულ ფონდებს საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების გათვალისწინებით;

გ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროდუქციის შინადარგობრივი კოოპერირებული მიწოდების გეგმებს სხვა დარგების მომხმარებელთათვის მისი მიწოდების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

დ) კონტროლს გაუწევს ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების თაობაზე კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებათა დროულად დადებას და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

ე) უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების სწორად შენახვასა და გამოყენებას და მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს მასალების, ნედლეულისა და სათბობის ეკონომიურად ხარჯვის, წარმოებაში დანაკარგების შემცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების, საწარმოო ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის გამოყენების უზრუნველსაყოფად და სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

15. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ფინანსებისა და კრედიტის დარგში:

ა) განახორციელებს ღონისძიებებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლების და დაგროვების მაქსიმალური გადიდების, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანი გამოყენების მიზნით;

დააფინანსებს დადგენილი წესით თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და უხელმძღვანელებს მათს საფინანსო საქმიანობას;

კონტროლს გაუწევს ფინანსური რესურსების გამოყენებას კომიტეტის სისტემაში;

ბ) უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, დროულად ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და ფინანსური გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების გადარიცხვას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

გ) შექმნის დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისებისა და ახალი ტექნიკის შექმნისათვის პრემირების ფონდებს, აგრეთვე სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს და რეზერვს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

დ) ორგანიზაციას გაუწევს ბანკების დაწესებულებებთან ერთად ანგარიშსწორების ყველაზე ეკონომიური და პროგრესული ფორმების დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ გადასახდელთა დაჩქარებას, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობას და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებას, მონაწილეობას მიიღებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ურთიერთდავალიანების ჩათვლების ორგანიზაციასა და ჩატარებაში;

ე) გახსნის ბანკებში საანგარიშსწორეო ანგარიშებს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელი თანხების და სხვა სახსრების გადასანაწილებლად, აგრეთვე ცალკე ანგარიშებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის რეზერვის სახსრების შესანახად;

ვ) შეცვლის საგეგმო მოგების ოდენობას კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით სამეურნეო გეგმების ცვლილებათა შესაბამისად, შემოსავალ-გასავლის ბალანსით მისთვის დამტკიცებული მოგების საერთო ოდენო-

ბის ფარგლებში ბიუჯეტის გადასახდელთა შეუმცირებლად, რასაც შემდგომ შეატყობინებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

ზ) დაამტკიცებს უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

თ) ორგანიზაციას გაუწევს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას კომიტეტის სისტემაში, უზრუნველყოფს საუწყებო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვის შემოწმებას, ეკონომიის რეჟიმის დაცვას, განახორციელებს კონტროლს კომიტეტის სისტემაში აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად წარმოებისა და უტყუარობისადმი, აგრეთვე ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დასაცავად და მიყენებული მატერიალური ზარალის გადასახდევინებლად.

16. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

ა) უზრუნველყოფს თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის კადრებს კომიტეტის სისტემაში, უზრუნველყოფს ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა უნარიან მუშაკთა შეხამებას, შექმნის პირობებს ხელმძღვანელ სამუშაოზე პოლიტიკურად მომწიფებულ სპეციალისტთა დასაწინაურებლად, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობენ კოლექტივში, მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციონალური გამოყენებისათვის და განახორციელებს ღონისძიებებს კომიტეტის სისტემაში მუდმივი კადრების შექმნის მიზნით;

ბ) შეიმუშავებს დარგში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის; უზრუნველყოფს შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების განუხრელი დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას;

გ) შეიმუშავებს და შემოიღებს დადგენილი წესით კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამომუშავების (მომსახურების) ერთიან და ტიპობრივ ნორმებს და მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივებს;

პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყობს მუშაობას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებში გამომუშავების (მომსა-

ხურების) ნორმების გადასასინჯად და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს შრომის ნორმირების სრულყოფისათვის;

შემოიღებს პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით შრომის დაცვის დამტკიცებულ დარგობრივ ნორმებს და უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებს; განახორციელებს კონტროლს მათი დაცვისადმი;

დ) უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; განახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდებისა და წამახალისებელი ფონდების ხარჯვისადმი;

ე) დააწესებს და შექმნის კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით და საშუალო თანამდებობრივი სარგოების მიხედვით დარიცხული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

ვ) პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად უხელმძღვანელებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს გაუწევს მათს გამოყენებას;

ზ) უზრუნველყოფს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მონაწილეობით თავისი სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას;

თ) პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად:

— მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, დაამტკიცებს კომიტეტის სისტემაში რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს, შემოიღებს დადგენილი წესით გარდამავალ წითელ დროშებს ფულადი პრემიებითურთ, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის მოძრაობის განვითარებას;

— შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, წარადგენს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დასაჯილდოებლად და მიანიჭებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს, მიაკუთვნებს კომუნისტური შრომის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წოდებას, უზრუნველყოფს შრომის მოწინავე მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას;

— დააჯილდოებს კომიტეტის სისტემის მოწინავე მუშებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით.

17. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი თავის მუშაობას წარმართავს დარგისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიურობისა და ერთმმართველობის პრინციპების შეხამების საფუძველზე, ამასთან განსაზღვრავს თანამდებობის პირთა ზუსტ პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაო უბანზე საქმეთა ვითარებისა და განსაზღვრულ დავალებათა შესრულებისათვის.

18. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს კომიტეტის თავმჯდომარე.

19. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია კომიტეტის თავმჯდომარის (კოლეგიის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეების, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

20. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის. აწესებს თავმჯდომარის მოადგილეთა, კომიტეტის ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

21. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად, გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

22. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს ღვინის მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებსა და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს კომიტეტის სამმართველოთა და განყოფილებათა, კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

23. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, ღვინის მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსასაზღვრავად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

24. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ქმნის საუწყებო არბიტრაჟს კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად. არბიტრაჟს უფლება ეძლევა გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

25. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტის სამმართველოები და განყოფილებები თავმჯდომარეს შეუძლია გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე.

26. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის კრებებს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით, რომლებზეც მოისმენენ და განიხილავენ ფართო კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე კომიტეტის, მისი საქვეუწყებო სა-

წარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

27. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან აღწევს მათში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე იღებს ზომებს კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელთაც იტყობინებიან თავიანთ წერილებში მშრომელები.

28. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1983 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X-83 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 4, სააღრიცხვო თაბახი 4

შეკვეთა № 1138 უე 08338 ტირაჟი 1630

საქართველოს სსრ მს ?თავარი სამეურნეო სამმართ. სტამბა